

საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო
კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ზ. მელიქიშვილს

ბატონო ზურაბ,

ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი “საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” და მასთან დაკავშირებით გაცნობებთ ჩვენს მოსაზრებებს.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 5,320 მილიონი ლარით განისაზღვრება, აქედან 4,759 მილიონი ლარი მოდის საგადასახადო შემოსავლებზე, ხოლო 561,6 მილიონი ლარი არასაგადასახადო შემოსავლებზე. სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები წინა წლის გეგმასთან შედარებით 2,3 პროცენტით არის შემცირებული, რაც ერთის მხრივ ეკონომიკური აქტივობის

მოსალოდნელი შენელებით არის გამოწვეული, მეორეს მხრივ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის კლებით. 2009 წლის ბიუჯეტში რეალური მშპ-ს წლიური ზრდა 4 პროცენტით არის ნავარაუდევო.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 6,053 მილიონ ლარს შეადგენს, აქედან მიმდინარე ხარჯებზე 4,922 მილიონი, ხოლო კაპიტალურ ხარჯებზე და წმინდა დაკრედიტებაზე 1,130 მილიონი ლარი არის განსაზღვრული. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში 208 მილიონით არის გაზრდილი სოციალური უზრუნველყოფის და შრომის ანაზღაურების ხარჯები, თუმცა ამ კატეგორიის ხარჯები ეკონომიკური აქტივობის მოსალოდნელი შემცირების ფონზე თავისი შინაარსით ინფლაციურია. აღსანიშნავია, რომ შემცირებულია საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯები, რაც სავარაუდოდ ხელს შეუწყობს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებზე ზეწოლის კლებას.

აღსანიშნავია რომ 2008 წელთან შედარებით, 2009 წელს მცირდება ბიუჯეტის მთლიანი ხარჯის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, 2008 წლის მაჩვენებელი არის 36%, ხოლო 2009 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი 29%-მდე შემცირდა.

წარმოდგენილი პროექტით კაპიტალური ხარჯები წინა წელთან შედარებით მცირედით არის შეცვლილი (კლების მიმართულებით). უცხოური კერძო საინვესტიციო ნაკადების შემოდიანების და შიდა ინვესტიციების მოსალოდნელი შემცირების ფონზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ გაზარდოს კაპიტალური ხარჯები, რითაც ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს კერძო ინვესტიციების ჩანაცვლებას და სტიმულს მისცემს ეკონომიკური აქტივობის ამაღლებას. სხვა შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული მშპ-ს 4%-იანი ზრდა რეალისტურად არ მიგვაჩნია.

**ცხრილი 1. 2008–2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი
(GFS-2001 წარმოდგენა)**

(მილიონი ლარი)

	2008 წლის გეგმა	2009 წლის პროექტი
შემოსავლები	5,445.7	5,320.6
გადასახადები	4,575.0	4,759.0
გრანტები	526.2	250.8
სხვა შემოსავლები	344.5	310.8
სარჯები	5,477.7	4,922.9
შრომის ანაზღაურება	935.7	1,040.3
საქონელი და მომსახურება	1,422.5	831.9
პროცენტი	123.7	178.2
სუბსიდიები	388.9	426.0
გრანტები	834.2	571.1
სოციალური უზრუნველყოფა	1,263.1	1,369.4
სხვა ხარჯები	509.4	506.0
საოპერაციო სალდო	(32.0)	397.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	500.3	891.4
ზრდა	1,042.9	1,013.2
კლება	542.6	121.8
მთლიანი სალდო	-532.2	-493.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	329.6	(218.5)
ზრდა	654.1	144.2
ვალუტა და დეპოზიტები	-	-
სესხები	113.4	144.2
აქციები და სხვა კაპიტალი	540.7	-
კლება	324.5	362.7
ვალუტა და დეპოზიტები	302.1	296.6
სესხები	14.0	26.5
აქციები და სხვა კაპიტალი	8.4	39.6
ვალდებულებების ცვლილება	861.8	275.2
ზრდა	966.4	466.5
საგარეო	966.4	466.5
საშინაო	-	-
კლება	104.6	191.3
საგარეო	54.9	128.0
საშინაო	49.7	63.3
ბალანსი	0.0	0.0

ცხრილი 2. 2008–2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი
(ანალიზური წარმოდგენა)
 (მილიონი ლარი)

	2008 წლის გეგმა	2009 წლის პროექტი
შემოსავლები	5,445.7	5,320.6
საგადასახადო შემოსავლები	4,575.0	4,759.0
არასაგადასახადო შემოსავლები	870.7	561.6
ხარჯები	6,619.9	6,053.7
მიმდინარე ხარჯები	5,477.7	4,922.9
კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	1,142.2	1,130.9
დეფიციტი	(1,174.20)	(733.15)
დეფიციტის დაფარვა	1,174.2	733.1
პრივატიზაცია	542.6	121.8
ვალდებულებების ზრდა	861.8	275.2
მთავრობის დეპოზიტების შემცირება	302.1	296.6
სუვერენული ფონდების სახსრების გამოყენება	(532.3)	39.6

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ერთ–ერთ ძირითად წყაროს საგარეო ვალდებულებების ზრდა წარმოადგენს. საერთაშორისო დონორებიდან მისაღები კონცესიური კრედიტების შედეგად 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგარეო ვალდებულებები 466.5 მილიონი ლარით იზრდება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დეფიციტის დაფინანსების კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეროვნულ ბანკში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული ნაშთის გამოყენება. ბიუჯეტით გათვალისწინებულია მთავრობის დეპოზიტებზე არსებული ნაშთის 296.6 მილიონი ლარით შემცირება.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო 493.7 მილიონ ლარს შეადგენს. ამას გარდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად ბიუჯეტში გათვალისწინებულია 121.8 მილიონი ლარის შემოსავლის აკუმულირება, რაც თავისი შინაარსით დეფიციტის დაფინანსების წყაროსთან იგივდება. მთლიანად 2009 წლის ბიუჯეტის დეფიციტი 733 მილიონი ლარით განისაზღვრება, რაც მშპ-ს 3,4%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ დეფიციტის მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელი შემცირებულია წინა წელთან შედარებით. აქედან და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების ინტერესებიდან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია ბიუჯეტის დეფიციტის კიდევ უფრო გაზრდა, თუ ეს გაზრდილი დეფიციტი უზრუნველყოფს ძირითადად კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 2009 წელს როგორც პერიოდის ბოლოს ასევე წლის განმავლობაში საშუალოწლიური ინფლაციის მაჩვენებელს 7% ოდენობით. როგორც საქართველოს 2009 წლის ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებში არის აღნიშნული, 2009 წელს საშუალოწლიური ინფლაციის მაჩვენებელი განისაზღვრება 9%-ით.

პატივისცემით,

დავით ამაღლობელი

პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი